



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბალავაძე ბენედიქტე კონსტანტინეს ძე

ბალავაძე ბენედიქტე კონსტანტინეს ძე [12 (25). VI. 1909, სოფ. ღანირი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 26. III. 2010, თბილისი], გეოფიზიკოსი. საქართველ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974; წ.-კორ. 1967). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1956), საქართველ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1931 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. 1931–32 მუშაობდა საქართველ. მძიმე მრეწვ. სახალხო კომისარიატში, თბილ. გეოფიზ. ობსერვატორიაში (მონაწილეობდა სსრკ გენერალურ მაგნიტურ აგეგმვაში), 1933-იდან – საქართველოს მეცნ. აკად. გეოფიზ. ინ-ტში. 1951–53, 1972–87 იყო ამავე ინ-ტის დირექტორი, 1987-იდან – ინ-ტის დირექციის მრჩეველი. 1968–76 იყო თსუ-ის ძიების გეოფიზ. მეთოდების კათედრის გამგე, 1976–89 – გეოფიზ. კათედრის გამგე.

ბ-ის შრომები ეხება დედამიწის ქერქის აგებულებისა და სასარგებლო წიაღისეულის გრავიმეტრიული შესწავლის მეთოდების დამუშავებას, სიმძიმის ძალის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების ამოხსნას, კავკ. ტერიტ. და მიმდებარე ზღვების აკვატორიების გრავიტაციული ველის გამოკვლევას, ამ რეგიონის დედამიწის ქერქის და ზედა მანტიის აგებულებისა და ფიზ. თვისებების, დედამიწის ქერქის მიმოქცევითი დეფორმაციებისა და დინამიკის შესწავლას. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. საქართველ. სახელმწ. პრემია (1994).

თბზ.: გრავიმეტრიის კურსი, თბ., 1959; გეოფიზიკის ტერმინოლოგია (რუს.-ქართ. და ქართ.-რუს.), თბ., 1988 (თანაშემდგ. ი. ცუცქირიძე); Гравитационное поле и строение земной коры в Грузии, Тб., 1957; Геофизическое исследование строения земной коры бассейна Черного моря. კრ.: Глубинное строение Кавказа, М., 1966; Методы изучения структуры земной коры по аномалиям силы тяжести, «Геофизический

сборник АН УССР», 1971, т. 42; Земная кора и история развития Черноморской впадины. М., 1975 (თბილისი); Приливы в твердом теле Земли, Тб., 1984 (თბილისი. К. З. Картвелишвили); Наклоны и деформации земной коры в районе Ингурской ГЭС, Тб., 1985 (თბილისი. В. Абашидзе).

3. ჯავრიშვილი
